

**ინვესტიციების ოპტიმალური გამოყენება.
მათი როლი და ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკურ
ზრდასა და განვითარებაზე**

დაფინანსებულია შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ,
„ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის
სამეცნიერო გრანტით“ N 52/18-2013/2014

ნათია შენგელია

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში,
სტუ ასისტენტ-პროფესორი, სსუ ასოცირებული პროფესორი

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ეროვნული, საკუთარი წარმოების აღორძინება, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ეკონომიკური ზრდის ხარისხის გაუმჯობესება. ამ მიზნის მიღწევა ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, მათ შორის საქართველოსთვის, მხოლოდ საკუთარი (კერძო, სახელმწიფო) ინვესტიციების საფუძველზე უცხოური ინვესტიციების გარეშე შეუძლებელია.¹

მართალია, საკუთარი ინვესტიციების როლი უაღრესად დიდია ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის და, ბუნებრივია, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში, მაგრამ გლობალიზაციის, ღია ეკონომიკის პირობებში მრავალი განვითარებადი ქვეყნის გამოცდილება ადასტურებს, რომ უცხოური ინვესტიციები დიდ ზეგავლენას ახდენს ინვესტიციის მიმღები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე,

¹ რეზიდენტებთან დამოკიდებულების მიხედვით, ეკონომიკურ ლიტერატურაში განასხვავებენ საკუთარ (სამამულო) და უცხოურ ინვესტიციებს. სამამულო ინვესტორები არიან რეზიდენტები. უცხოურ ინვესტორებს მიეკუთვნებიან უცხო ქვეყნები, საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები, უცხოური იურიდიული და ფიზიკური პირები (ა. სიჭინავა. ინვესტიციები, თეორია, ანალიზი, ორგანიზაცია, მართვა. თბ., 2010წ. გვ.16)

თვით ადგილობრივი ინვესტიციების გააქტიურებაზეც.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე უცხოური ინვესტიციების ზეგავლენის შესახებ ასევე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის:

- დასაქმების, სამუშაო ადგილების ზრდისა და შემოსავლების გადანაწილების მაჩვენებლები:

ცხრილი N 1

დასაქმებულები საკუთრების ფორმის
მიხედვით ბიზნესის სფეროში ¹

წელი ან კვარტალი	სულ (კაცი) სახელმწიფო და კერძო სექტორი	სახელმწი- ფო სექტო- რი	კერძო სექტორი	
			კერძო (ად- გილობრივი ფიზიკური და იურიდიული პირები)	კერძო (უცხო- ური ფიზიკური და იურ- იდიული პირები)
2006	360 987	107 011	213 923	40 053
2007	361 209	95 608	218 558	47 043
2008	349250	83 239	212 132	53 879
2009	387463	83 732	243 925	59 805
2010	397 806	80 332	255 705	61 768
2011	503 236	64 299	363 228	75 709
2012	534 397	54 581	390 095	89 722
2013	550 885	58 645	396 396	95 844
2014 I	495 713	55 881	348 403	91 429
2014 II	507 610	55 800	355 393	96 417

როგორც ცხრილიდან ჩანს, დასაქმებულთა რიცხვი საქარ-
თველოს უცხოურ კომპანიებში მატულობს 2006–2014 წლებში
40 053 კაციდან 95 844 კაცამდე (მიახლოებითი ზრდა 139,3

1 მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული
სამსახურის მასალებიდან.

%). ხოლო 2014 წლის ცალკე აღებულ II კვარტალში კი დასაქმებულთა რაოდენობამ უკვე 96 417-ს მიაღწია, რომ არაფერი ვთქვათ შემდომ მოსალოდნელი მთელი წლის ჯამურ მონაცემებზე. ამასთან აღსანიშნავია ის ტენდენცია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უდიდესი ნაწილი საბანკო და სამშენებლო სექტორებში იდება. სახელმწიფო სექტორში კლებადი ტენდენცია შეინიშნება 2006 წლიდან-107 011 კაციდან 2013 წელს- 58 645 ადამიანამდე - 45,2%-ით შემცირდა. კერძო ადგილობრივ ქართულ კომპანიებში 2006-2013 წლებში ზრდა 85 %-ია (213923 დან 396 396 კაცამდე) უცხოური ფირმებისგან განსხვავებით, რომელსაც საგრძნობლად ჩამორჩება (139,3%).

უცხოურ ფირმებში თვითური საშუალო ხელფასი 2006–2011 წწ. 507.9 ლარიდან – 1170 ლარამდე გაიზარდა (2.3–ჯერ), 2014 წელს ხელფასმა უკვე მეორე კვარტალში 1245 ლარს მიაღწია; სახელმწიფო სექტორში- 240.5 -დან 779,2 ლარამდე და ადგილობრივ კერძო ქართულ ფირმებში 264.8 დან 654 ლარამდე. თუ ორივე სექტორის ხელფასს შევადარებთ 2014 წელს, უცხოურ კერძო კომპანიაში დასაქმებულის საშუალო ხელფასი აღემატება ქართულ კერძო ანალოგიურ მაჩვენებელს $1245,4 / 747,2 = 1,77$ -ჯერ, სახელმწიფო სექტორის მაჩვენებელს კი $1245,4 / 850 = 1,57$ -ჯერ (იხ. ცხრილი N2).

- განათლება, კვალიფიკაციის ამაღლების დონე. უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შედეგად ტექნოლოგიურ ტრანსფერს თან ახლავს რეციპიენტი ქვეყნის ადამიანური რესურსების განვითარებაზე ორიენტირებული უცხოელი ინვესტორების ინიციატივები, კერძოდ, ადგილობრივი მუშახელის შრომის ნაყოფიერების ზრდის ხელშემწყობი ტრენინგების ჩატარება. უცხოურ კომპანიათა უმრავლესობა საქართველოში ხშირად რეგულარულად უზრუნველყოფს თავის კადრებს საკვალიფიკაციო ტრენინგით ადგილობრივ თუ უცხოურ ბაზაზე. მაგ. თითქმის ყველა უცხოური ბანკი წლის განმავლობაში მრავალ ტრენინგს (მაგალითად ინგლისური ენა, ფინანსური მათემატიკა, ბუღალტერიის საფუძვლები) ატარებს თავისი თა-

ცხრილი N 2

დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი საკუთრების ფორმის მიხედვით ბიზნესის სფეროში

წელი ან კვარტალი	სულ (ლარი)	სახელმწიფო სექტორი	კერძო სექტორი	
			კერძო (ადგილობრივი ფიზიკური და იურიდიული პირები)	კერძო (უცხოური ფიზიკური და იურიდიული პირები)
2006	285.8	240.5	264.8	507.9
2007	381.6	295.0	354.1	676.6
2008	519.8	404.8	473.8	866.2
2009	538.1	441.9	486.3	869.6
2010	592.7	492	529.6	968.6
2011	622.6	558.9	543.7	1035.8
2012	714.3	686.2	621	1119.1
2013	760.1	779.2	654	1170.0
2014 I	779.1	742.7	675.7	1179.7
2014 II	856.1	850	747.2	1245.4

მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალებიდან.

ნამშრომლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად. მაგალითად პროკრედიტ ბანკი თავის 2011 წლის ანგარიშში წერს: „ 2011 წელს აღმოსავლეთ ევროპისთვის განკუთვნილი პროკრედიტის რეგიონული აკადემია, რომელიც მაკედონიის ქალაქ ველესში მდებარეობს, „პროკრედიტ ბანკი საქართველოს,“ ექვსმა თანამშრომელმა დაამთავრა, ხოლო ბანკის სამმა თანამშრომელმა გერმანიის ქალაქ ფიურტში“¹.

ამასთან კადრების შერჩევისას მიღების პირობებიც საკმა-

1 http://www.procreditbank.ge/admin/files/AR/AR_2011_geo.pdf


ოდ მკაცრია. ამ მიმართულებით საქართველოს ეროვნული სა-
ინვესტიციო სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს სხვადას-
ხვა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან. დაგეგმილია
ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში მუშახელის შესაძლებ-
ლობის და კვალიფიკაციის შესწავლა და შემდგომ დონორების
დახმარებით მუშაკთა გადაკვალიფიცირება საერთაშორისო
მოთხოვნის დონეზე.

- **ბაზარი და კონკურენცია:** პუი (პირდაპირი უცხოური ინ-
ვესტიციები) სტიმულს აძლევს უცხოურ ფირმებს შევიდნენ
ადგილობრივ ბაზარზე და შეუშვან თავიანთი კაპიტალი და
სხვა შესაძლებლობები მიმღებ ქვეყანაში. უცხოური ინვეს-
ტიციები აძლიერებს რა კონკურენციას, იგი ამავე დროს ას-
ოცირდება შიდა ინვესტიციების შესაძლებელ ზრდასთან.
უცხოურ კომპანიებს (ინვესტორებს), ერთი მხრივ, თავიანთი
წვლილი შეუძლიათ შეიტანონ, დაეხმარონ ადგილობრივ ქარ-
თულ კომპანიებს წინსვლა-განვითარებაში: ეს იქნება სანარ-
მოთა რესტრუქტურისა, ახალი მატერიალურ-ტექნიკური,
ინოვაციური ბაზით უზრუნველყოფა, თუ საერთაშორისო გა-
მოცდილების გაზიარება. მეორე მხრივ, მათ შეუძლიათ მო-
ნოპოლია მოიპოვონ ბაზარზე და შეავინოროვნონ ან განდევნონ
ადგილობრივი, ქართული, შედარებით დაბალკონკურენტუ-
ნარიანი ფირმები, როცა მივიღებთ ე.წ. „განდევნის ეფექტს“,
(crowding out effect), მაგრამ ამის თავიდან ასაცილებლად ქვეყ-
ნების მთავრობებს შემუშავებული უნდა ჰქონდეთ უცხოელი
ინვესტორების შემოსვლის პირობები. ტრანსფორმირებადი
ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილებიდან დადასტურებულია,
რომ პუი დაწყებით ეტაპზე შეიძლება ინვესტორებს გარკვეული
რაოდენობის ადგილობრივი ფირმების ბაზრიდან გამოდევნას,
მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ უცხოური წარმოების სეგ-
მენტის ზრდა პოზიტიურად მოქმედებს ზრდის დონეზე და ამ-
აღლებს ადგილობრივი ფირმების პროდუქტიულობას. ე.ი. პუი
ავსებს და ეფექტიანად ემატება ადგილობრივ ინვესტიციებს.

- **ექსპორტის ხვედრითი წილი:** გამოკვლევები ცხადყოფს,

რომ პუი ბევრად უფრო დადებითად ზემოქმედებს ზრდაზე სწორედ ექსპორტის წამახალისებელ ქვეყნებში. ამ პოლიტიკის შედეგად მექსიკა გადაიქცა მსოფლიოს განვითარებად ეკონომიკათა შორის უდიდეს ექსპორტიორ ქვეყნად მანქანათმშენებლობის სექტორში.

**ქვეყნების ჯგუფების წილი მთლიან ექსპორტში
2014* წლის იანვარ-აგვისტოში**



*წინასწარი მონაცემები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით 2014 წლის იანვარ-აგვისტოში ექსპორტის წილი ევროკავშირის ქვეყნებში იყო 404 527,1 (ათასი აშშ დოლარი), ხოლო 2010 წელს 179 757 (ათასი აშშ დოლარი). დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში 2014 წლის იანვარ-აგვისტოში ექსპორტის წილი 1 003 329,3 (ათასი აშშ დოლარი)-ს შეადგენდა, ხოლო 2010 წელს 408 741, 2 (ათასი აშშ დოლარი)¹.

საქართველოში ექსპორტის წამახალისებელი პოლიტიკა ტარდება, ჩვენი ქვეყნის მიერ გატარებულ რეფორმებში ყურადღასღება ბოლო პერიოდში არსებული თავისუფალი ვაჭ-

1 Geostat.ge

რობის შესახებ ხელშეკრულებები ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოს შორის, ჯერ „მარტივი“, შემდეგ კი „გაფართოებული“, ხელშეკრულებები (Simple და Extended FTA+), რომელიც მიმართულია, როგორც სავაჭრო ტარიფების, ისე არასატარიფო ბარიერების შემცირებისა და საბოლოოდ გაუქმებისკენ.

ექსპორტით სტიმულირებული ეკონომიკური ზრდის ჰიპოთეზის თვალსაზრისით, საჭიროა ისეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რომლებიც ადგილობრივ რესურსებს საექსპორტო პროდუქციის წარმოებისთვის გამოიყენებს. ამის მაგალითია გარკვეულწილად მილსადენებში უცხოური ინვესტიციები, რომლებიც საქართველოს მიწას ტრანსპორტირების მომსახურების ექსპორტირებისთვის იყენებს, სწორედ აქ შეინიშნება ექსპორტის ზრდადი ტენდენცია. სტრატეგიული ინვესტიციებისათვის საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების ეფექტიანობა არა მარტო ამ ერთი ქვეყნის მასშტაბით ან თუნდაც კავკასიით შემოიფარგლება, არამედ როგორც სატრანსპორტო დერეფანი. საქართველო ამ დერეფნით მომავალში აუცილებლად შეასრულებს მსოფლიო ბაზრების დამაკავშირებელი ერთ-ერთი ცენტრალური რგოლის ფუნქციას. საქართველოს საინვესტიციო გარემოს ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია ასეთი გეოპოლიტიკური მდგომარეობა.

საერთაშორისო საინვესტიციო კომპანიებისთვის საქართველოში საქმიანობის, წარმოების აწყობა იაფი და მდიდარი რესურსების ბაზაზე ადვილია. შესაბამისად, საექსპორტო ბაზარზე იაფად წარმოებული პროდუქციის გატანა საკმაოდ მაღალ მოგებას იძლევა. ასევე ერთობლივი საწარმოს შექმნით უცხოურ კომპანიას ადვილად შეუძლია მსოფლიო საექსპორტო ბაზარზე გაიყვანოს ქართული, ადგილობრივი ფირმა, რადგან მას უკვე გარკვეული კავშირები გააჩნია მსოფლიო მასშტაბით. მაგალითისთვის მოვიყვანოთ ახლად შექმნილი ქართულ-უკრაინული კომპანია „ყაზბეგი-რეგინა“; საქმიანობის მასშტაბების გაფართოების მიზნით კომპანია „ყაზბეგი“, დაუკავშირდა

უკრაინულ ფირმას, რომელთაც შექმნეს ერთობლივი საწარმო. შემდგომში უკრაინული მხარე დაეხმარა ჯერ უკრაინულ, შემდეგ კი სხვა ბაზრებზე შესაღწევად. ყოველივე ამის შედეგად მომავალში „ყაზბეგის“ მიერ გამოსაშვები პროდუქციის რიცხვი ერთიორად გაიზრდება.

- **ეკონომიკური ზრდა:** განვითარებული ქვეყნების (იაპონია, აშშ და სხვ.), ასევე ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილებიდან გამომდინარე, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შეუძლია საქართველოს ეკონომიკური ზრდის დაჩქარება, განსაკუთრებით ისეთ სექტორებში, როგორიცაა: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ტურიზმი, სოფლის მეურნეობისა და კვების პროდუქტების წარმოება და მრეწველობის სხვა დარგები. ეკონომიკური ზრდის წლიურ ტემპებსა და კაპიტალდაბანდებებს შორის სწორხაზოვანი დამოკიდებულება პროფესორ ლ. ქოქიაურის აზრით მარტივად ასე გამოიყურება:

მშპ-ის ზრდა = $2 + 0.5 \times$ კაპიტალდაბანდებათა ზრდა. ე.ი. მშპ-ს მატების წლიური ტემპები (ნელში %-ით) ტოლია 2-ს პლუს იმავე ნელს კაპიტალდაბანდებათა ტემპის ნახევარი. თუ კი უახლოესი წლებისთვის მიზნად დავისახავთ მშპ-ს მატებას 3%-ით, მაშინ მის მისაღწევად საჭირო იქნება კაპიტალდაბანდებათა ზრდა 6%-ით.¹ ინვესტიციების მშპ-სთან მიმართებაში გასაანალიზებლად ინვესტიციები დაიყო ადგილობრივ და უცხოურ ინვესტიციებად (იხ. ცხრილი N 3).

გასაანგარიშებლად შემოღებულ იქნა გარკვეული აღნიშვნები.

- 1) I_1 - ადგილობრივი ინვესტიციები;
- 2) I_2 - უცხოური ინვესტიციები;
- 3) ΔY_1 - ადგილობრივი კომპანიების მიერ მიღებული დამატებული ღირებულების ცვლილება (სხვაობა) მიმდინარე და წინა წელს შორის;
- 4) ხოლო ΔY_2 - უცხოური საწარმოების მიერ მიღებული დამატებული ღირებულების ცვლილება მიმდინარე და წინა წელს შორის.

1 იხ. ლ. ქოქიაური . საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა. თბ. 2008, გვ. 113.

ინვესტიციების მთლიანი მოცულობა საქართველოში

წელი	მშპ (ლარში, 000)	მშპ-ს %	სულ ინვესტიციები, მშპ-ს % (ლარში, 000) ¹	უცხოური ინვესტიციები (ლარში, 000) ²	ადგილობრივი ინვესტიციები (ლარში, 000)	უცხოური ინვესტიციები სულ ინ- ვესტიციებთან (მშპ-ს ბაზაზე)	ადგილობრივი ინვესტიციები სულ ინვესტიციებთან (მშპ-ს ბაზაზე)
2005	11 620 900	33,54	3 896 487, 77	809 640	3 086 87	20.7 %	79.22%
2006	13 789 900	30	4 136 970	2 142 720	1 994250	51.8 %	48.2
2007	16 993 800	34	5 777 892	3 223 680	2 554212	55.7%	44.3%
2008	19 074 900	27	5 150 223	2 346 000	2 804223	45.6%	54.4%
2009	17 986 000	13	2 338 180	1 053 440	1 284740	45.1%	54.9%
2010	20 743 400	20,52	4 148 680	1 384 650	2 764030	33%	67%
2011	24 344 000	15	3 651 600	1 866 059	1 785541	51.1 %	48.9 %
2012	26 167 300	22.8 ³	5 966 144	1 510 248	4 455896	25. 3%	74.7 %

5) ΔY - მშპ ნაზრდი მთლიანი ინვესტიციების მოცულობის შესა-
ბამისად;

6) K_1 - ადგილობრივი ინვესტიციების საშუალო უკუგების (ეფექ-
ტიანობის) კოეფიციენტი;

7) K_2 - უცხოური ინვესტიციების საშუალო უკუგების (ეფექტიან-
ობის) კოეფიციენტი;

8) K - მთლიანი ინვესტიციების საშუალო უკუგების (ეფექტიან-
ობის) კოეფიციენტი;

9) I - სულ ინვესტიციების მოცულობა;

ყოველივე აქედან გამომდინარეობს შემდეგი ფორმულა:

$$K_1 = \frac{\Delta Y_1}{I_1} \text{ და } K_2 = \frac{\Delta Y_2}{I_2};$$

დამატებული ღირებულება საკუთრების ფორმების მიხედვით

წელი	სულ	მათ შორის:				
		სახელმწიფო	კერძო	აქედან:		
				კერძო (ადგილობ-რი- ვი-ფიზიკური და/ან იურ. პირები)	კერძო (უცხოელი ფიზიკური და/ან იურიდიული პი- რები)	
	მლნ. ლარი					
	1	2	3	4	5	
2006	3 479,4	769,6	2 709,8	1 725,3	984,5	
2007	4 541,8	755,9	3 785,8	2 374,8	1 411,1	
2008	5 162,6	706,6	4 456,0	2 618,7	1 837,3	
2009	5 464,1	671,1	4 793,0	3 099,7	1 693,3	
2010	6 703,2	778,3	5 924,8	3 688,4	2 236,4	
2012	11 190,7	970, 4	10 220, 2	6 506, 4	3 713, 8	
2013	12 139,1	1041,1	11 098	7 188,7	3 909,3	

ზემოთ მოცემული ცხრილი N 3-ისა და ცხრილი N 4 -ის 2006, 2007, 2008, 2009,

2010, 2012-2013 წლების მონაცემების გაანგარიშების საფუძველზე მიღებულ იქნა ინვესტიციების მშპ-ზე გავლენის , ეფექტიანობის საშუალო კოეფიციენტები :

$$1) K_{2007} = \frac{\Delta Y}{I} = \frac{(4\,541,8 - 3\,479,4)}{4\,136,97} = \frac{1\,062,4}{4\,136,97} = 0,26;$$

$$K_{1\,2007} = \frac{\Delta Y_1}{I_1} = \frac{(2\,374,8 - 1\,725,3)}{1\,994,25} = \frac{649,5}{1\,994,25} = 0,32$$

$$K_{2\,2007} = \frac{\Delta Y_2}{I_2} = \frac{(1\,411,1 - 984,5)}{2\,142,72} = \frac{426,6}{2\,142,72} = 0,20$$

$$2) K_{2012} = \frac{\Delta Y}{I} = \frac{(12\,139,1 - 11\,190,7)}{5\,966,144} = \frac{948,4}{5\,966,144} = 0,16;$$

$$K_1 2012 = \frac{\Delta Y_1}{I_1} = \frac{(7\,188,7 - 6\,506,4)}{4\,455,896} = \frac{682,3}{4\,455,896} = 0,15;$$

$$K_2 2012 = \frac{\Delta Y_2}{I_2} = \frac{(3\,909,3 - 3\,713,8)}{1\,510,248} = \frac{426,6}{1\,510,248} = 0,13.$$

ანალოგიურად გაანალიზებულ იქნა სხვა წლების კოეფიციენტებიც.

ცხრილი N 5

ინვესტიციების ეფექტიანობის საშუალო კოეფიციენთა
ცხრილი

საანალიზო წელი	მოლიანი ინვესტიციების საშუალო უკუგება (K)	ადგილობრივი ინვესტიციების საშუალო უკუგება (K ₁)	უცხოური ინვესტიციების საშუალო უკუგება (K ₂)	სხვაობა ადგილობრივსა და უცხოურ ინვესტიციების ეფექტიანობის კოეფიციენტებს შორის
2006-2007	0.26	0.32	0.20	0.12
2007-2008	0.04	0.10	0.13	0.03
2008-2009	0.02	0.17	- 0.06	(0.23)
2009-2010	0.07	0.46	0.52	0.06
2012-2013	0.16	0.15	0.13	(0.02)

როგორც ცხრილი N 5-დან ჩანს მშპ-ს, დამატებული ღირებულების, ნაზრდის შეფარდებით ადგილობრივ თუ უცხოურ ინვესტიციებთან, უცხოურ ინვესტიციებს არც თუ უმნიშვნელო ზეგავლენა ჰქონია მშპ-ზე. მართალია, 2006 წელს, უცხო-

ური ინვესტიციების საშუალო ეფექტიანობის კოეფიციენტი 0,2 ნაკლებია ადგილობრივის კოეფიციენტზე - 0,32, მაგრამ შემდეგ 2007 წელში უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის კოეფიციენტი-0,13 მეტია ადგილობრივზე-0,10, ასევეა 2009-2010 წლებში - 0,52 (უცხოური) - 0,46 (ადგილობრივი-იხ. ცხრილი N 5). 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდში ისედაც ცხადია, რომ უცხოური ინვესტიციების შემოდინებამ იკლო, მაგრამ სამაგიეროდ 2009-2010 წლებში უცხოურმა ინვესტიციების ზეგავლენა მშპ-ზე უფრო გაიზარდა; მისმა ეფექტიანობამ 0,52-ს მიაღწია, რომელიც 0,06-ით აღემატება ადგილობრივის ეფექტიანობას. ხოლო უცხოურის ინვესტიციების ეფექტიანობა და ზეგავლენა 2010 წელს 2006 წელთან შედარებით $0,52/0,2=2,6$ ჯერ გაიზარდა, მაშინ როცა ადგილობრივის მაჩვენებელი მხოლოდ $0,46/0,32=1,4$ -ჯერ. მაგრამ 2012-2013 წლებში ადგილობრივმა ინვესტიციების კოეფიციენტმა გადააჭარბა უცხოურის ანალოგიურს თუმცა მცირედით, რაც შეიძლება ნაწილობრივ გლობალური ფინანსური კრიზისის შემდგომი რთული პერიოდით აიხსნას.

ამრიგად, უცხოური ინვესტიციების შედეგად დაფუძნებული საწარმოების მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება თანდათან მატულობს და წელ-წელა უსწრებს კიდევ ადგილობრივი ინვესტიციებით გამოშვებული პროდუქციის მოცულობას, თუმცა საბოლოოდ ქვეყნის პრიორიტეტული დარგების მიხედვით მაინც საჭიროა მათ შორის ოპტიმალური თანაფარდობის რეგულირება.

- შრომის ნაყოფიერების დონე. საქართველოში არის კვალი-ფიციური მუშახელი და ევროკავშირთან შედარებით დაბალი ანაზღაურება. ყოველივე ეს მიმზიდველია ინვესტორებისათვის. საშუალოდ მუშაკი საქართველოში 1\$ ხელფასზე აწარმოებს 3-ჯერ მეტს, ვიდრე ამერიკელი ან ევროპელი. ასეთი ნაკლები ხელფასის პირობებში იკარგება არა მარტო შრომისადმი, არამედ დაზოგვისადმი სტიმული და ინტერესი, რაც ხელს უშლის ინვესტიციური პროცესების ეფექტიან რეალიზაციას და

ეკონომიკურ განვითარებასაც. მაგრამ, საბედნიეროდ, საქართველოში, უცხოურ ფირმებში შეინიშნება სახელფასო განაკვეთის მაღალი და ზრდადი ტენდენცია, რაზეც ზემოთ მოცემული ცხრილიც მოწმობს (იხ. ცხრ. N 2). მრავალი მეცნიერული კვლევა ადასტურებს უცხოური ინვესტიციების დიდ მნიშვნელობას შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკის სექტორებში. მაგალითად, მექსიკაში ჩატარდა გამოკითხვა: იყო თუ არა უპი-ს შედეგები მექსიკის გადამამუშავებელ მრეწველობაში იმდენად დიდი, რომ მისი ეფექტები დახმარებოდა ადგილობრივ ფირმებს დაახლოებოდნენ აშშ-ს შრომის ნაყოფიერების დონეს. პასუხი იყო დადებითი.

იმისათვის, რომ უცხოური ინვესტიციების ზეგავლენა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე მაქსიმალურად პოზიტიური იყოს, ხელისუფლებას სამოქმედო გეგმის გასაუმჯობესებლად, -უკვე შემოსული ან პოტენციური უცხოური ინვესტიციებისგან დადებითი ეფექტები გაიზარდოს, საჭიროა შემდეგი წინადადებების რაღიზაცია :

- ექსპორტზე ორიენტირებული პუი-ს წახალისება (საჭიროების შემთხვევაში ამ მიმართულებით საგადასახადო ან სხვა ტიპის შეღავათების დაწესება);

- უცხოელ ინვესტორებსა და ადგილობრივ კომპანიებს შორის მჭიდრო კავშირების სტიმულირება (ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია: ა) უცხოელი ინვესტორებისათვის დახმარება მათ მიერ ადგილობრივი პარტნიორების მოძიებაში.ამ კუთხით საინფორმაციო ცენტრის შექმნა, რისი მეოხებით უცხოელი კაპიტალდამბანდებლებისათვის ხელმისაწვდომი იქნებოდა ადგილობრივი მიმწოდებლების, ანუ ბაზარზე უკვე დამკვიდრებული სანდო ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნეს-პარტნიორების შეუზღუდავი, გამჭვირვალე ჩამონათვალი, მაგ. ერთობლივი სანარმოების შექმნის შესაძლებლობებთან და სხვ. საკითხებზე; ბ) ადგილობრივი მიმწოდებლებისათვის ხელისშეწყობა მათი შემდგომი კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლების თვალსაზრისით. ყოველივე ეს შეამცირებდა

ადგილობრივი ინვესტორების ბაზრიდან შესაძლო „გამორიყვის“, რისკს და უზრუნველყოფდა საერთაშორისო ბაზრებში შეღწევადობის შესაძლებლობას);

- ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს რესტრუქტურისაცა უცხოური ინვესტიციების საჭიროებისა და მათი მოზიდვის პოტენციალის შესაბამისად. ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტრატეგიული ხედვა იმისა, თუ სად და როგორ აპირებს მოზიდული ინვესტიციების დახარჯვას, როგორ იქმნება უცხოელების ნახალისება, რომელი დარგებია ზრდადი და პრიორიტეტული და სხვ. სწორედ ასეთი პროგრამები უნდა აჩვენოს სააგენტომ პოტენციურ ინვესტორებს და მიანოდოს მათ ინფორმაცია საქართველოში კაპიტალის განთავსების მიმზიდველობის შესახებ;

- უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის სტრატეგიის არსებობა, რომელშიც უნდა გამოიკვეთოს რეციპიენტი ქვეყნის ძლიერი და სუსტი მხარეები, ის დარგები და რეგიონები, რომელთა განვითარება შესაძლებელია პუი-ით, ერთობლივი სანარმოების შექმნით და ა.შ.

როგორც ამ წინადადებებიდან ჩანს, საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად მთელი ტვირთი ხელისუფლებას ეკისრება, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს ამ პრობლემის მოგვარების მსოფლიო გამოცდილება, არსებული მეცნიერული კვლევის შედეგები.

ორი აზრი არ არის იმაში, რომ უცხოური ინვესტიციების სიდიდე (რაოდენობრივი, მოცულობითი მხარე) და მათი ეფექტიანი გამოყენება (თვისებრივი მხარე) უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ განვითარებადი და ტრანსფორმირებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების, მათ შორის საქართველოს განვითარებაში. სხვადასხვა ქვეყნებში კაპიტალის განთავსების დროს უცხოურ ფირმებს თან შემოაქვთ ახალი ტექნოლოგიები, წარმოების ორგანიზაციის პროგრესული მეთოდები, ხდება საერთაშორისო პროფესიული გამოცდილების გაზიარება, მსოფლიო ბაზარში ინტეგრაციის სტიმულირება და დაჩქარება. ყო-

ველივე ამის დახმარებით მალღდება შრომის ნაყოფიერება, მატულობს ეროვნულ სანარმოთა კონკურენტუნარიანობა, იზრდება ექსპორტის ხვედრითი წილი და შესაბამისად სავალუტო შემოსავლები, იქმნება ახალი სამუშაო ადგილები და, რაც ყველაზე მთავარია, ტრანსფორმირებადი ქვეყნის ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება, ჯანსაღი საინვესტიციო პროცესი მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, თუკი ინვესტირებისას მთავარი ყურადღება მიექცევა არა მის მოცულობით მაჩვენებლებს, არამედ ეფექტიანობას, შედეგიანობას. ყოველივე ეს დაფინანსების სამამულო და უცხოურ წყაროთა ეფექტიანი სინთეზისა და ურთიერთშეცვების, ურთიერთდამატების გარეშე შეუძლებელია.

ამრიგად, უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ეფექტიანობის ამაღლებას, ეკონომიკურ ზრდას, განსაკუთრებით ტრანსფორმირებადი ღია ეკონომიკის პირობებში, რაც ნელ-ნელა თავის დადებით ზეგავლენას მოახდენს მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ხარისხზე, რომელთა ამაღლების გარეშე არათუ უცხოური, არამედ, საერთოდ ინვესტიციის დადებითი ზეგავლენის, შედეგების შესახებ მსჯელობაც კი შეუძლებელია. მართალია, შიდა ინვესტიციების როლი უაღრესად დიდია ქვეყნის ეკონომიკურ დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში, თუმცა გლობალიზაციის მრავალი განვითარებადი ქვეყნის გამოცდილება ადასტურებს, რომ უცხოური ინვესტიციები დიდ ზეგავლენას ახდენს ინვესტიციის მიმღები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, მათ შორის შეიძლება გამოვყოთ: სამუშაო ადგილების ზრდა, განსაკუთრებით უცხოურ კომპანიებში დასაქმებულთა საშუალო ხელფასის მატება და თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა სხვადასხვა ადგილობრივ თუ საზღვარგარეთ ორგანიზებული ტრენინგების ორგანიზებით, ეკონომიკური ზრდის დაჩქარება, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება სანარმოთა რესტრუქტურისაში, ახალი მატერიალურ-ტექნი-

კური, ინოვაციური ბაზით უზრუნველყოფაში, რაც არ გამო-
რიცხვას თვით ადგილობრივი ინვესტორების თუ კომპანიების
ნელ-ნელა ეტაპობრივად გააქტიურებას.

გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. <http://data.worldbank.org> , www.heritage.org, geostat.ge;
2. Investments: Analysis and Management, 12th Edition, Jan 1, 2013-by Charles P. Jones.
3. Investments (McGraw-Hill/Irwin Series in Finance, Insurance, and Real Est) by Zvi Bodie, Alex Kane and Alan Marcus (Sep 9, 2013).
4. ინვესტიციები, თეორია, ანალიზი, ორგანიზაცია, მართვა. თბ. 2010 წ. - ა. სიჭინავა.
5. Investment Banking: Valuation, Leveraged Buyouts, and Mergers & Acquisitions by Joshua Rosenbaum, Joshua Pearl, Joshua Harris and Joseph R. Perella (May 28, 2013).
6. რ.შენგელია, ჟ.ნიკლაური, ნ.შენგელია-ინვესტიციები და მათი როლი ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნების განვითარებაში - თბ. 2013წ.
7. საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა — ლ. ქოქიაური — თბ. 2008წ.
8. Wealth Building: Wealth Building Guide To Building Wealth Through Smart Investments And Wealth Creation Techniques... by John McQuilkin (Aug 22, 2014).

**THE OPTIMAL USE OF INVESTMENTS, THEIR ROLE AND
IMPACT ON THE ECONOMIC GROWTH AND
DEVELOPMENT OF GEORGIA**

Natia Shengelia, Doctor of
Social Sciences in Economics,
GTU, Assistant-professor
STU, Associate Professor

RESUME

In Summary , FDI contributes to the socio-economic development, improved efficiency, economic growth, especially in the transforming open economy, which will have its positive impact slowly on the standards and quality of living of people, without which improvement it is impossible even to discuss the results and positive impact not only of foreign , but also in general of the investments. Truly, the role of domestic investments is highly significant for the economic independence and, of course, economic security of a country; although in the conditions of globalization, open economy, many developing countries experiences showed that foreign investments greatly influence on the host country's socio-economic development, among it can be mentioned : job growth, increase in average salary of employees working especially in foreign companies, their care(f. ex. banks) for improvement the qualifications of the employees by organizing the various local or overseas trainings, acceleration of economic growth, sharing international experience in enterprise restructuring, in providing new material-technical facilities and equipment, innovative base, which does not exclude itself to activate the local investors and companies slowly step- by-step in Georgia.